

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს
ფილიალი,
COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A.
Branch Georgia

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები	14
5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.	14
6. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები.	15
7. სხვა მიმდინარე აქტივები.	15
8. ძირითადი საშუალებები.	15
9. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მიმდინარე ვალდებულებები.	16
10. გრძელვადიანი სესხები.	16
11. ამონაგები.	17
12. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება.	17
13. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.	18
14. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	18
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

		12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
	N	GEL	GEL	GEL
სულ მიმდინარე აქტივები		7 451 454	7 014 385	10 781 316
ფული და ფულის ექვივალენტები	4	2 707 528	2 483 797	6 531 552
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	5	2 988 140	3 147 410	2 309 437
წინსაწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი				
გადასახადები	6	1 397 544	994 357	1 216 124
სხვა მიმდინარე აქტივები	7	358 242	388 821	724 203
სულ გრძელვადიანი აქტივები		22 029	50 677	35 475
გრძელვადიანი მოთხოვნები მოწოდებიდან და				
მომსახურებიდან		-	24 925	-
ძირითადი საშუალებები	8	22 029	25 752	35 475
აქტივები სულ		7 473 483	7 065 062	10 816 791
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 868 937	3 695 485	5 813 554
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი				
მიმდინარე ვალდებულებები	9	4 642 520	3 695 485	5 705 720
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		226 417	-	107 834
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7 338 596	6 157 674	5 456 956
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი				
გრძელვადიანი ვალდებულებები		531 587	725 635	264 647
გრძელვადიანი სესხი	10	6 807 009	5 432 039	5 192 309
კაპიტალი		(4 734 050)	(2 788 097)	(453 719)
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		(1 945 953)	(2 334 380)	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(2 788 097)	(453 717)	(453 719)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7 473 483	7 065 062	10 816 791

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალფონსო დე ოიოს პერეს

მთ. ბუღალტერი ----- გიორგი კვეზერელი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	N	2020 GEL	2019 GEL
ამონაგები	11	7 677 058	10 389 127
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებ	12	(7 383 358)	(11 339 268)
სარეალიზაციო მოგება/(ზარალი)		293 700	(950 141)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(457 551)	(1 423 885)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		(163 851)	(2 374 026)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	13	110 459	263 872
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან		(1 893 852)	(256 908)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		1 291	32 684
მოგება დაბეგვრამდე		(1 945 953)	(2 334 378)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(1 945 953)	(2 334 378)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 15 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალფონსო დე ოიოს პერეს

მთ. ბუღალტერი  ----- გიორგი კვეზერელი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალასიონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(453 719)	(453 719)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(2 334 378)	(2 334 378)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(2 788 097)	(2 788 097)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(1 945 953)	(1 945 953)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(4 734 050)	(4 734 050)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 15 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალფონსო დე ოიოს პერეს

მთ. ბუღალტერი  ----- გიორგი კვეზერელი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის (1 ლარი)

	2020 GEL	2019 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლების მიერ გადახდილი ფულადი სახსრები	9 665 815	8 331 043
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7 268 166)	(10 285 289)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1 356 647)	(1 461 836)
გადახდილი გადასახადები	(786 897)	(771 380)
სხვა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(125 714)	(119 988)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	128 391	(4 307 450)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(8 779)	(4 019)
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული პროცენტები	110 459	263 872
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	101 680	259 853
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი (ნეტო)	(6 340)	(158)
ფულადი სახსრების ცვლილება წლის განმავლობაში	223 731	(4 047 755)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	2 483 797	6 531 552
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	2 707 528	2 483 797

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 15 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალფონსო დე იოოს პერეს

მთ. ბუღალტერი ----- გიორგი კვეხერელი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404 452 016, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი, კარგალეთელის ქ#14, სართული 5, ბინა 7. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის დამფუძნებელია:

სააქციო საზოგადოება „COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A.“

(ს/კ A46146387)-ესპანეთი.

კომპანიის დირექტორი:

2017 წლის 30 მაისამდე - ხუან ანტონიო ვისენტე როდრიგო-ესპანეთი (პ/ნ AAG410466);

2017 წლის 30 მაისიდან - ალფონსო დე დიოს პერეს-ესპანეთი (პ/ნ A0193152800);

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა წყალგაყვანილობის სისტემებისა და სათავო ნაგებობების ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მოქმედ ვალუტას. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის

განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება

ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დნადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-3 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023

წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2020 წლეს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=3.1097 ლარი;

1 EUR=3.5519 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი;

1 EUR=3.1553 ლარი.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
ეროვნული ვალუტა მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	2 573 985	2 416 569	6 203 091
უცხოური ვალუტა მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	133 543	67 228	328 461
	2 707 528	2 483 797	6 531 552

5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იურიდიული პირების მიმართ მიმდინარე მოთხოვნებისგან.

კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთან. დავის საგანს წარმოადგენს - დაბა გუდაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის 1-ლი ეტაპის პროექტის ფარგლებში შესრულებული დამატებითი სამუშაოების საფასურის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის დაკისრება და მიყენებული ზიანის გადახდევინება. დავის სრული მოცულობით მოგების ალბათობა საკმაოდ დაბალია, ვინაიდან არ არსებობს შემკვეთის (მოპასუხის) მხრიდან დამატებითი სამუშაოების შესრულების მოთხოვნის სრულყოფილად დამადასტურებელი დოკუმენტები. დავის დასრულების ვადა დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე სასამართლო ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული არადაამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში გააგრძელონ დავა ზედა ინსტანციებში. დავის მატერიალური მოთხოვნა შედგება ხუთი ნაწილისაგან (თანხები დამრგვალებულია):

- არსებული დავალიანება - 72 000 ლარი;
- დამატებითი სამუშაოების ღირებულება - 1 441 500 ლარი;
- მიუღებელი შემოსავალი (ჯარიმები) - 150 000 ლარი
- მიყენებული ზიანი - 153 150 ლარი;
- საპროცესო ხარჯები - აღნიშნული მომენტისთვის ხსენებული დანახარჯები შეადგენს 12 000 ლარს და შესაძლებელია გაიზარდოს დავის ზემდგომ ინსტანციებში გაგრძელების შემთხვევაში.

სულ დავის მოთხოვნა არის - 1 828 650 (ერთი მილიონ რვაასოცდარვა ათას ექვსასორმოცდაათი) ლარი.

სს „კობრა ინსტალაციონის ი სერვისის საქართველოს ფილიალი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

6. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები.

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
წინასწარ გაწეული ხარჯები	1 162 605	741 364	1 022 638
წინასწარ გადახდილი გადასახადები	234 939	252 993	193 486
	1 397 544	994 357	1 216 124

7. სხვა მიმდინარე აქტივები.

სხვა მიმდინარე აქტივები შედგება:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
გადახდილ ავანსებზე მიღებული დღგ-ს ჩათვლა	352 496	14 840	724 203
სხვა მიმდინარე აქტივები	5 746	373 981	-
	358 242	388 821	724 203

8. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17 879	19 904	11 661	49 444
დამატება	2 625	-	6 154	8 779
შემცირება	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20 504	19 904	17 815	58 223
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 402	8 096	4 194	23 692
დამატება	4 001	5 379	3 122	12 502
შემცირება	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 403	13 475	7 316	36 194
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5 101	6 429	10 499	22 029

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 407	18 658	11 360	45 425
დამატება	2 472	1 246	301	4 019
შემცირება	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17 879	19 904	11 661	49 444
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება				
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6 139	2 752	1 059	9 950
დამატება	5 263	5 344	3 135	13 742
შემცირება	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 402	8 096	4 194	23 692
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 477	11 808	7 467	25 752

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

9. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მიმდინარე ვალდებულებები.

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
მიმდინარე ვალდებულებები მიწოდებიდან	2 331 713	2 036 976	958 164
მიღებული ავანსები	2 310 807	1 658 509	4 747 556
	4 642 520	3 695 485	5 705 720

10. გრძელვადიანი სესხები.

2019 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში	6 807 009	5 432 039	5 192 309
	6 807 009	5 432 039	5 192 309

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

11. ამონაგები.

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2020	2019
პროექტი ქ. ფოთში	5 213 050	5 955 049
პროექტი სოფ. გორისაში და ჩიხაში	-	2 521 239
პროექტი ქ. დმანისი	402 929	1 694 572
პროექტი ქ. თბილისში	69 073	137 278
პროექტი საჩხერის მუნიციპალიტეტში	672 493	-
პროექტი წალკასა და ბოლნისში	-	80 904
სხვა	-	85
საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება	1 319 513	-
	7 677 058	10 389 127

12. . რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება.

კომპანიის 2019 წლის რეალიზებული მომსახურების ღირებულება შედგება:

	2020	2019
რეზიდენტი ქვეკონტრაქტორების ხარჯები	2 567 588	6 171 057
მასალების შეძენის ხარჯები	2 070 340	2 145 246
პირდაპირი ხელფასები	1 840 967	1 146 642
არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების ხარჯები	188 390	846 143
საოპერაციო ხარჯები	134 771	586 200
სხვა პირდაპირი ხარჯები	486 839	244 518
ტრანსპორტირების ხარჯები	79 169	141 744
პირდაპირი საიჯარო ხარჯები	9 490	52 898
უაფრთხოების აღჭურვილობა	5 804	4 820
	7 383 358	11 339 268

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

13. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2020	2019
საკონსულტაციო ხარჯები	38 049	189 979
ხელფასის ხარჯები	43 769	624 005
საწვავის ხარჯები	25 122	52 307
საიჯარო ხარჯები	65 430	123 972
საბანკო მომსახურების ხარჯები	36 038	24 349
ოფისის ხარჯები	3 043	13 749
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	12 502	13 741
სხვა ხარჯები	233 598	381 783
	457 551	1 423 885

14. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

კომპანიის 2020 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება, სს „თიბისი ბანკი“-ს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე, არსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისაგან.

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	ოპერაციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლისა ან/და მომსახურების შესყიდვები	(943,847)	(1,955,781)
საქონლისა ან/და მომსახურების რეალიზაცია	181,406	31,233
მიღებული სესხები		(5,432,039)
სულ	(762,442)	(7,356,586)

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

	ოპერაციის დირეზულეზა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულეზული პერიოდიტ	დაუზარავი ნაშტი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულეზული პერიოდიტ
საქონლისა და მომსახურეზის შესყიდვები	(409 867)	(997 752)
საქონლისა და მომსახურეზი რეალიზაცია	1 319 513	401 539
მიღეზული სესხები		(6 807 009)
	909 646	(7 403 222)

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკვირებულ მხარესთან.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი ----- ალფონსო დე ოიოს
 პერეს

მთ. ბუღალტერი ----- გიორგი კვეზერელი

